შპს "რეაბილიტაცია"

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

არააუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----------
საქმიანობის შედეგები ----------
ფულადი სახსრების მოძრაობა ----------

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია ----------
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა---
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ----------
4. შემოსავალი ----------
5. ფულადი სახსრები ----------

ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	61885	75216	96577
სავაჭრო მოთხოვნები	261269	211200	344665
გადახდილი ავანსები	0	105541	8518
მარაგები	108593	88251	103808
სულ მიმდინარე აქტივები	26109	35621	17290
ძირითადი საშუალებები	1787519	1776738	3156167
სულ აქტივები	**2245375**	**2292567**	**3727025**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	109068	114874	115970
საგადასახადო ვალდებულებები	11482	9157	18857
სხვა ვალდებულებები	47012	130010	219129
სულ ვალდებულებები	167562	254041	353956
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაიტალი	2038526	2163070	3503917
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-5369	-124544	-130848
სხვა რეზერვები	44656	0	0
სულ კაპიტალი	2077813	2038526	3373069
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**2245375**	**2292567**	**3727025**

დირექტორი თამარ მუმლაძე

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2019წ	2018წ
ნეტო ამონაგები	589539	668371
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-105853	-103808
საწყისი მარაგები	0	103808
მარაგების შესყიდვა	0	88251
საერთო მოგება	483687	564563
დასაქმებულთა ანაზღაურება	-236714	-333033
ცვეთა და ამორტიზაცია	-536099	-69188
იჯარის ხარჯი	3600	0
ადმინისტ.და სხვა საოპერაციო ხარჯი	-195643	-286886
სულ საოპერაციო ხარჯები	-489056	-689107
საოპერციო მოგება	-5369	-124544
სრული გაუფასურების ხარჯი	-5369	-124544
სხვა სრული შემოსავალი	-5369	-124544
მოგება/ზარალი	-5369	-124544
კაპიტალის საწყისი ნაშთი	2038526	3373069
კაპიტალის სხვა ცვლილებები	44656	-1209999
კაპიტალი წლის ბოლოს	2077813	2038526

დირექტორი თამარ მუმლაძე

ფულადი სახრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019წ	2018წ
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-13331	-21361
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიან	0	0
ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	75216	96577
ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	61885	75216

დირექტორი თამარ მუმლაძე

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "რეაბილიტაცია" საიდ.კოდი 206096419 წარმოადგენს 100%-იან სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებულ კომპანიას, რომლის სამეწარმეო სუბიექტად რეგისტრაცია განხორციელდა 18.09.1998 წელს შპს "როკი-98"-ის სახელით და წარმოადგენს მის სამართალმემკვიდრეს. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი,ანა პოლიტკოვსკაიას ქ.№8, I-ლი სართული.

კომპანიის 100% წილის მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო.მისი ძირითადი საქმიანობის საგანია უფუნქციო ,გადახდისუუნარო სახელმწიფო საწარმოებში დირექტორად ან პარტნიორად დანიშვნა, შემდგომში მათი დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით, ასევე საჭიროების შემთხვევაში მათი რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია/გაკოტრება/რეაბილიტაცია. ასევე, კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გაცემა, სხვადასხვა დასახელების მოძრავი ქონებების რეალიზაცია.

შვილობილი კომპანიები

შპს "რეაბილიტაცია" შემდეგი საწარმოების მშობელი კომპანიაა, რომლებიც შესულია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ყველა შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია და მდებარეობს საქართველოში.

ა. შპს "საქწიგნი" საიდენ.კოდი 202888269 100% შვილობილად დარეგისტრირდა 01.03.2017წელს. მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენს წიგნების რეალიზაცია და საკუთარი ფართების იჯარით გაცემა.
ბ. შპს "კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი" 100% -- შვილობილად დარეგისტრირდა 06.03.2018წელს. მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენს სამედიცინო მომსახურება,კერძოდ ანალიზების გაკეთება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული

კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას საზოგადოების საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული

მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების სფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა,რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა.მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრებები შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს,შვილობილ საწარმოებში ან ერთობლივ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება.

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ასახავს მეკავშირე საწარმოს ოპერაციების შედეგებში ჯგუფის წილს.ამგვარი საინვესტიციო ობიექტების სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი ცვლილება წარმოდგენილია ჯგუფის სხვა სრული შემოსავლის ნაწილის სახით. ამასთან როდესაც მეკავშირე საწარმოს კაპიტალში პირდაპირ არის აღიარებული ცვლილება, ჯგუფი ნებისმიერ ცვლილებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მის წილს აღიარებს კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.ჯგუფსა დსა მეკავშირე საწარმოს შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აღმოიფხვრება, მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წილის შესაბამისად.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ქართულ ლარში და წარმოადგენს მის სამუშაო ვალუტას. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-16 განყოფილების- ძირითადი საშუალებები- შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ

დანახარჯებს ,რომელიც დაკავშირებულია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება

როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯებისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთა არის აქტივის ცვეთადი ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური განაწილება , მისი მომსახურების ვადის განმავლობაში კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნება აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას

გაუფასურების ზარალი არის თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან,გაყიდვისთვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით,თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება:- პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება; ან პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საწარმოს მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების ღირებულება უნდა აღიარდეს აქტივად,თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივისგამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) საწარმოსთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია

- შენობა-ნაგებობა	25-50 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები	5-15 წელი
- მანქანა-დანაგარები	10-15 წელი
- კომპიუტერები,საოფისე აღჭურვილობა	3-10 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

. **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

ჯგუფის მიერ რეალიზაცია/მომსახურების ოპერაციები ძირითადად ხორციელდება შემუშავებული ჩვეულებრივი პირობებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმ ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ამ თანხების ამოღებადობის შესაძლებლობა.

სავაჭრო ვალებულებები არის ნორმალური ურთიერთობის და ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულებები და არ გულისხმობს პროცენტის დარიცხვას

გადასახადები

მოგების გადასახადი- მოგების გაასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, 2016 წლის 13 მაისს შეტანილი იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდანდა შეეხო საზოგადოების მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპებს (კომერციული ბანკების,სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირის და ლომბარდის გარდა). ეს ცვლილებები შეეხო საზოგადოების მიერ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს.საზოგადოებებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან მანამ,სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილებით, რეზიდენტ საწარმოს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული აკუმულირებული "წმინდა მოგებიდან" დივიდენდის განაწილებისას, უფლება აქვს ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული (დეკლარირებული) და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს დივიდენდის განაწილებაზე გათვალისწინებული მოგების გადასახადის თანხისა.

აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდების განაწილებასთან ერთად მოგების გადასახადით ასევე იბეგრება(მოგების განაწილებად ითვლება) ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული(ხარჯი, რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივების უსასყიდლო მიწოდება; წარმომადგენლობითი ხარჯი,რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას), ასევე შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის მქონე ქვეყანაში დარეგისტრირებული პირებისათვის გაცემული ავანსები, ფიზიკურ პირებზე გაცემული ფულადი საშუალებები

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

დღგ

საზოგადოების მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. საზოგადოებას

შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით.

ჯგუფი გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გათვალისწინებით)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

ხელფასებს, ბონუსებს, ანაზღაურებად შვებულებებს და ბიულეტინებს ჯგუფი ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც ჯუფის თანამშრომმლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

არარსებითობის გამო ჯგუფის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების ასახვა/აღრიცხვა.

მარაგები

მარაგის თვითღირებულება მოაცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს,აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს(გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს),სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის,ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად ,მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ჯგუფის სასაქონლო მარაგებს წარმოადგენს უფუნქციო, გადახდისუუნარო კომპანიების შერწყმის შედეგად მშობელ ორგანიზაციაში გადმოცემული გამოსაყენებლად უვარგისი, და შემდეგ ასეთი ორგანიზაციების გაკოტრების შემდეგ, დარჩენილი სასაქონლო მარაგები.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც.

მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. ქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შემოსავალი შესაძლოა ობიექტურად იქნას შეფასებული. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები გადახდების სამართლიანი ღირებულებით,ნებისმიერი სავაჭრო ამონაგების დღგ გამოკლებით.

იჯარა-იჯარა ფინანსურად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც მისი პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკის და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საზოგადოებისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში აქვს მხოლოდ საოპერაციო იჯარა.იჯარის კლასიფიკაციას ახდენს იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი პერიოდის განმავლობაში.

კომპანია ფართების იჯარით გაცემას ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც განცხადებით მიმართავს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და მისგან მიიღებს ნებართვას. ასევე, მხოლოდ ნებართვის შემდეგ ხდება მოძრავი ქონებების რეალიზაცია.

ჯგუფის შემოსავლებს წარმოადგენს წიგნების გაყიდვიდან მიღებული და სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.ხარჯები აღიარდება თუ:

-აღიარდება აქტივების შემცირება ან ვალდებულებების ზრდა (მაგალითად, ცვეთის, ან თანამშრომელთათვის ხელფასის დარიცხვა).

-საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება მაშინ,თუ დანახარჯების გაწევისა და შემოსავლების ცალკეული მუხლების მიღების პროცესებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი.ეს არის ამონაგებისა და დანახარჯების შესაბამისობის პრინციპი.იგი გულისხმობს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით, ანმოვლენით გამოწვეულიხარჯებისა და ამონაგების ერთდროულ აღიარებას.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის თანხას განსაზღვრავს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საწესდებო კაპიტალში ცვლილება ხორციელდება მხოლოდ მისი ბრძანების საფუძველზე.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, აღირიცხება როგორც კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე,იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ მოგებას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება რეალური ღირებულებით

შვილობილი კომპანიების საწესდებო კაპიტალის ცვლილებას ახორციელებს შპს რეაბილიტაცია.

ფულადი სახსრების მოძრაობა

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ოდენობა ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად, რადგან აქედან ჩანს, საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან შემოვიდა თუ არა საკმარისი ფულადი სახსრები სესხების დასაფარად,საწარმოო სიმძლავრის შესანარჩუნებლად, დივიდენდების გადასახდელად და ახალ ინვესტიციების განსახორციელებლად.

საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები უმეტესად საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი საქმიანობიდან წარმოიშობა. მგვარად, იგი,საზოგადოდ, წარმოიშობა ისეთი ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად, რომლებიც მონაწილეობენ მოგების ან ზარალის განსაზღვრაში

ზოგიერთმა ოპერაციამ, როგორიცაა მოწყობილობის ერთეულის გაყიდვა, შეიძლება მოგება ან ზარალი გამოიწვიოს, რაც ჩართულია მოგების ან ზარალის გაანგარიშებაში. ამგვარ ოპერაციებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები ითვლება საინვესტიციო საქმიანობიდან

შემოსულ ფულად ნაკადებად. თუმცა, ფულადი სახსრების გადახდა სხვებზე იჯარით გასაცემად განკუთვნილი აქტივების წარმოებაზე ან შეძენაზე, რომელიც შემგ\დგომში გახდა დასაყიდად გამიზნული, მიიჩნევა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადად. მგვარი აქტივების საიჯარო ქირიდან და შემდგომში მისი გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრებიც ასევე მიიჩნევა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადად.

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019წ	2018წ
წმინდა ფულადი სახსრებისაოპერაციო საქმიანობიდან	-13331	-21361
წმინდა ზრდა(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-13331	-21361
ფული წლის დასაწყისიდან	75216	96577
ფული წლის ბოლოს	61885	75216

დირექტორი **თამარ მუმლაძე**